ექსპერიმენტის როლი ბიოლოგიის სწავლების პროცესში

თამარ ბურჯანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

მეცნიერების და ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ვარაზაშვილი,

ილიას უნივერტიტეტის მოწვეული პროფესორი, ბიოლოგიური მეცნიერებების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად,,

თამარ ბურჯანაძე

27.06.2016 წელი

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს პრაქტიკულ კვლევას, რომელიც მიზნად ისახავს კერძო „შპს მჭევრი“ ბიზნეს სკოლის მე-10 კლასის ბიოლოგიის მიმართ მოსწავლეების მოტივაციის და აკადემიური მოსწრების შესწავლას სასწავლო პროცესში ექსპერიმენტების ჩართვის პირობებში.

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა პრობლემის იდენტიფიცირება, გამომწვევი მიზეზების გამოკვლევა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, შედეგების შეფასება/ანალიზი და მის საფუძველზე აღნიშნული სკოლისთვის გრძელვადიანი რეკომენდაციების მიცემა.

პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე გამოვლინდა ბიოლოგიის მიმართ მოსწავლეთა საკმაოდ დაქვეითებული ინტერესი, და, შესაბამისად, დაბალი აკადემიური მოსწრება, ამიტომ დაიგეგმა ისეთი ტიპის ინტერვენცია, (ექსპერიმენტის ჩართვა სასწავლო პროცესში) რომელმაც, სავარაუდოდ, შეეძლო გამოეწვია მოსწავლეთა მოტივაციის და სწავლის დონის ამაღლება.

ჩატარებული დაკვირვების შედეგად ვივარაუდეთ, რომ პრობლემის გამომწვევ მიზეზს შეიძლება წარმოადგენდეს ბიოლოგიის გაკვეთილების პრაქტიკული სამუშაოების გარეშე წარმართვა.

ინტერვენციის განხორციელების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამაღლდა მოსწავლეების როგორც მოტივაციისა ბიოლოგიის სწავლისადმი, აგრეთვე მათი აკადემიური მოსწრება

ძირითადი საძიებო სიტყვები: ექსპერიმენტული სამუშაოები, პრაქტიკული კვლევა, მოტივაციის კითხვარი.

მადლობა

კვლევა და სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, თუმცა უამრავი ადამიანი მეხმარებოდა მის ხარისხიანად და დროის ლიმიტის დაცვით შესრულებაში. მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ქალბატონ მანანა ვარაზაშვილს, გვერდში დგომის და დახმარებისთვის. მოგეხსენებათ პრაქტიკული კვლევის ჩატარება არცთუ ისე იოლი საქმეა და მისი ჩატარების კარგ ცოდნას მოითხოვს. კვლევის ფარგლებში ჩემი ყველა ნაბიჯი შეთანხმებული და განხილული იყო ქ-ნ მანანასთან. მიუხედავად მისი დატვირთული გრაფიკისა ყოველთვის მზად იყო ჩემს მოსასმენად და დასახმარებლად.

ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ილიას უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ მარიკა კაპანაძეს, რადგან რომ არა ის, ვერ შევძლებდი ასეთი დახვეწილი ტესტების გამოყენებას კვლევის პროცესში. სწორედ მისი თხოვნით გახდა შესაძლებელი ნებართვის მიღება უცხოელი მეცნიერის კითხარის გამოყენებაზე.

უნდა ავღნიშნო საკვლევი სკოლის ხელმძღვანელების და უშუალოდ ქალბატონი ირინა ბოკერიას მზაობა კვლვის ჩატარებაზე. ქ-ნი ირინა ყოველთვის გამოხატავდა ყურადღებას და თანადგომას.

მადლობა ილიას უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ეფექტური და აქტიური კომუნიკაციისთვის. ყველა ინფორმაციის დროულად შეტყობინებისთვის და დახმარებისთვის.